№ 60-7-119-1014 18.07.19.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს შორის გაფორმებულ 28.07.2017წ. №60-7-117-1503 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 18.07.2019წ.

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში - „სსე“ ან "ელექტროსისტემა"), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის უჩა უჩანეიშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს „გარდაბნის თბოსადგური-2“ (შემდგომში - "კომპანია"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, მეორეს მხრივ, ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- მხარეთა შორის 28.07.2017წ. გაფორმდა N60-7-117-1503 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულება და 2019 წლის 28 ივნისის N3772 წერილით კომპანიის მიერ მოთხოვნილ იქნა მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება;
- ამასთან, კომპანიის მოთხოვნა ტექნიკური, ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა სახით არ იწვევს რაიმე უარყოფით შედეგებს ან/და არ ახდენს უარყოფით გავლენას.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური2“ს შორის გაფორმებულ 28.07.2017წ. N60-7-117-1503 გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულების“)

   ა) 6.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით:

   „6.1. სსე-ს კუთვნილ ქსელზე კომპანიის ობიექტის მიერთება განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 30 ნოემბრისა.“

2. 2017 წლის 28 ივლისის N60-7-117-1504 დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრული მეორე ეტაპის საფასურის, მესამე ტრანშის 560, 660 (ხუთას სამოცი ათას ექვსას სამოცი) ლარის გადახდა შპს „გარდაბნის თბოსადგური2“-ის მიერ განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 10 ოქტომბრისა და გადახდის დღედ ჩაითვალოს, აღნიშნული თანხის სსე-ს საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მასთან ერთობლიობაში, ამასთან, ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი;
4. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიას არ გააჩნია რაიმე პრეტენზია აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით;
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

ელექტროსისტემა	კომპანია
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს „გარდაბნის თბოსადგური-2"
საიდ. კოდი: 204995176	**საიდ. კოდი:** 426529759
მის: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ.№2	**მის:** საქართველო, გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №28
-----------------	-----------------
უჩა უჩანეიშვილი	მერაბ კიკალიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/ რეაბილიტაციის მმართველი	გენერალური დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem — Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem Date: 2019.07.19 15:42:46 +04'00'

Gardabani TPP 2 LLC — Digitally signed by Gardabani TPP 2 LLC Date: 2019.07.24 13:42:34 +04'00'